ხელშეკრულება № 27

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ლაგოდეხი 14 მაისი 2012 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ირმა სიყმაშვილსა (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ. „ზაქარია წოდოლოშვილი"-ს შემდგომში (მიმწოდებელი) შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საოჯახო ტექნიკის /ხორცის საკუწი მანქანების/ შესყიდვა /კოდით 39700000/ ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის და მასში შემავალი საბავშვო ბაღებისათვის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის შესყიდვა განხორციელდება ერთჯერადად, რომლის საერთო ღირებულებაა 2160 /ორი ათას ას სამოცი/ მიმწოდებლის ანგარიშზე თანხა ჩაირიცხება შესყიდული საქონლის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნული ვალუტით.

3. შესყიდვების ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდების ვადაა 2012 წლის 31 მაისი.
3.2. საქონლის შესყიდვა განხორციელდება მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე (ქ. ლაგოდეხი ზაქათლის ქ. №3)
3.3. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
3.4 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
3.5. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი, მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.
3.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1. „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
–წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღების საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
–ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
–რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.
4.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
– განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
– მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას წუნი შემსყიდველის მიერ მიღებული შეტყობინებისთანავე.
4.5. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
4.6. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შეუსრულებლობის ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01%–ის ოდენობით.
5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით, ერთი თვით ადრე მაინც.
6.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.
8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.
8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ქ. ლაგოდეხი ქიზიყის ქ. №25 ლიბერთი ბანკის ლაგოდ. ფილიალი ანგ. № GE66LB0115123180251000 საიდენ. კოდი 233146798	ი.მ. „ზაქარაია წოდოლიშვილი" ქ. ლაგოდეხი ზაქათლის ქ. №3 ლიბერთი ბანკის ლაგ-ის ფილ. კ. LBRTGE22 ანგარიშის № GE28LB0112147915725000 საიდენტიფიკაციო კოდი 25001004215
დირექტორი: ი. სიყმაშვილი	ხელმოწერა: _____ /ზ. წოდოლიშვილი/